DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

DWV-ს ბიზნეს ბიულეტენი

დეკემბერი 2019

გამოგვყევით სოციალურ მედიაში

facebook.com/dwv.ge

linkedin.com/company/dwvge

ბიზნეს მოთხოვნები საქართველოდან

თუ დაინტერესებული ხართ გერმანული პარტნიორის მოძიებით, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი მოთხოვნა თქვენთვის სასურველ პროდუქციაზე ინგლისურ ან გერმანულ ენაზე და თან დაურთოთ დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: zaira.soloeva@dwv.ge

ბიზნეს მოთხოვნები გერმანიიდან

ყველა ქვემოთ ხსენებულ ბიზნეს მოთხოვნაზე დამა–ტებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: zaira.soloeva@dwv.ge

გერმანულენოვანი ქართველი ონლაინ საქმიანობისთვის

გერმანული კომპანია Mytaleint.io ეძებს გერმანულენოვან საქართველოს მოქალაქეს სხვა და სხვა ონლაინ-საქმიანობისთვის მათი კლიენტებისთვის. საქმიანობები მოიცავს: სატელეფონო დახმარება, ინფორმაციის მოძიება, კლიენტთა მომსახურების სერვისი, ასისტენტი და ა.შ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: https://career.mytalent.io/

ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება

კომერციული დაფინანსება გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG-სგან

გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG გთავაზობთ **არასაბანკო დაფინანსების ახალ მოდელს**, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ **ბანკებისგან დამოუკიდებელი დაფინანსება** განსხვავებული პირობებით როგორიცაა მუდმივი საკრედიტო ხაზი, ნაწილობრივი დაფინანსება, ერთჯერადი კრედიტი და სხვა. დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ: zaira.soloeva@dwv.ge

DEG ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

გერმანული ინვესტიციისა და განვითარების საზო–გადოება (DEG, www.deginvest.de) 50 წელზე მეტია აფინანსებს ექსპორტსა და ინვესტიციებს გერმანიიდან საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება გერმანულ პროდუქტს. DEG ბანკი იძლევა გრძელვადიან კაპიტალს ბაზარზე არსებული პირობებით და კონსულტაციას უწევს კომპანიებს პროექტის ყველა ფაზაში. DEG აფინანსებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, აგრარულ, ინდუსტრიულ და საფინანსო სექტორში. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@dwv.ge

ზოგადი ინფორმაცია გერმანიაში პროდუქციის იმპორტის შესახებ

გერმანიის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან რეგულირდება საგარეო ვაჭრობის აქტით, საგარეო ვაჭრობის რეგულა-ციით, ევროპის საბჭოსა და კომისიის ლეგალური აქტებით. განსხვავებები დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე და ვაჭრობაზე სხვა ევროკავშირის ქვეყნებთან (შიდა ბაზარი) და მესამე ქვეყნებთან.

მესამე ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის დროს, მნიშვნელოვანია სატარიფო და არასატარიფო შეზღუდ–ვები:

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

- იმპორტის სატარიფო შეზღუდვები გამომდინარეობს საბაჟო (კანონმდებლობიდან) და მოიცავს საბაჟო გადასახადს იმპორტირებულ საქონელზე.
- არასატარიფო შეზღუდვები შეიძლება გამომდინარეობდეს საგარეო ვაჭრობის კანონიდან ან სხვა ლეგალური წყაროებიდან.

იმპორტის შეზღუდვების საგარეო ვაჭრობის კანონი მოიცავს აკრძალვებს (მაგ. ემბარგო), ავტორიზაციის მოთხოვნას (მაგ. იმპორტის ავტორიზაციის მოთხოვნა გარკვეულ ტექსტილზე) და მონიტორინგის ზომებს (მაგ. დოკუმენტების მონიტორინგი რკინისა და ფოლადის პროდუქციის იმპორტის დროს).

საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის კანონის მიხედვით ექვემდებარება ავტორიზაციას და მონიტორინგს, ასევე გარკვეულ პროცედურულ მოთხოვნებს, ჩამოთვლილია იმპორტის სიაში. ეს სია ინტეგრირებულია ელექტრონული საბაჟო ტარიფების სისტემაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: http://trade.ec.europa.eu/tradehelp/

ევროკომისიის ექსპორტის საკითხებში დახმარების პროგრამის ახალი ვერსია განვითარებადი ქვეყნებისთვის (Trade Helpdesk)

ევროკომისიამ ექსპორტის საკითხებში დახმარების ახალი ვერსია შეიმუშავა. ეს უფასო ონლაინ მომსახურება ძალიან მარტივად ხსნის განვითარებადი ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობებს. მხოლოდ რამდენიმე ღილაკზე დაჭერით, თქვენთვის ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტზე ევროკავშირის მოთხოვნილებების, გადასახადების, ტარიფების, შეღავათების, წესებისა და სტატისტიკის შესახებ. იხილეთ დამატებითი ინფორმაცია: EU Neighbourhood Info

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-ს „Get together“ ღონისძიება

DWV STAMMTISCH

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მომდევნო „Get together“ ღონისძიება ჩატარდება **2020 წლის 15 იანვარს 18 საათიდან, ღონისძიების ადგილი ჩვენს ვებ-გვერდსა და Facebook-ზე გამოქვეყნდება.**

„Get together“ ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების როგორც წევრი, ასევე არაწევრი ორგანიზაციების გერმანულად მოსაუბრე წარმომადგენლები. ღონისძიება იმართება ყოველთვი–ურად. მოხარული ვიქნებით თქვენი ხილვით!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: zaira.soloeva@dwv.ge

Messe Frankfurt-ის გამოფენა Heimtextil 2020

2020 წლის 7-10 იანვარს მესე ფრანკფურტი გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში მართავს ოთხდღიან ყველაზე დიდ საერთაშორისო გამოფენას Heimtextil 2020, რომლის ფარგლებშიც თქვენ გექნებათ შესაძლებლობა გაეცნოთ 2020-2021 წლის ტენდენციებს ტექსტილის სფეროში.

ასევე, გამოფენის ფარგლებში მოგეცემათ საშუალება, დაესწროთ სხვადასხვა სახის ვორქშოპებსა და შოუებს.

არ გაუშვათ შანსი ხელიდან!

დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ზაირა სოლოევას შემდეგ ელ. ფოსტაზე: zaira.soloeva@dwv.ge.

Messe Frankfurt-ის გამოფენები: Christmasworld 2020, Creativeworld 2020, Paperworld 2020, Floradecora 2020

2020 წლის 24-28 იანვარს მესე ფრანკფურტი გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში მართავს ოთხ ყველაზე დიდ საერთაშორისო გამოფენას Christmasworld 2020, Creativeworld 2020, Paperworld 2020, Floradecora 2020,

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

რომელთა ფარგლებშიც თქვენ გექნებათ შესაძლებლობა გაეცნოთ 2020 წლის საახალწლო და კრეატიულ, დეკორაციულ და ფლორისტულ ტენდენციებს.

გამოფენებზე ასევე მოგეცემათ საშუალება ნახოთ სხვადასხვა სახის ვორქშოპები და შოუები.

არ გაუშვათ შანსი ხელიდან!

დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ზაირა სოლოევას შემდეგ ელ. ფოსტაზე: zaira.soloeva@dwv.ge.

Messe Berlin-ის გამოფენა FRUIT LOGISTICA

FRUIT LOGISTICA 5|6|7 FEBRUAR 2020, BERLIN

2020 წლის 5-7 თებერვალს მესე ბერლინი გერმანიის ქალაქ ბერლინში მართავს 3 დღიან საერთაშორისო გამოფენას ახალი პროდუქტების (Fresh Products) მიმართულებით.

FRUIT LOGISTICA, 3.200-ზე მეტი გამომფენითა და 78.000-ზე მეტი ვიზიტორით, არის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენა Fresh Produce-ის ინდუსტრიაში, რომელიც მოიცავს არა მარტო ხილსა და ბოსტნეულს - როგორც კულტურას, არამედ მის გადამამუშავებელ ტექნიკურ სისტემებს, ლოგისტიკას და მომსახურების სფეროებს.

არ გაუშვათ შანსი ხელიდან და ეწვიეთ გამოფენას, რათა გაიცნოთ მწვანე ასორტიმენტის მწარმოებელთა სრული ჯაჭვის კომპანიები - გლობალური მოთამაშეებიდან მცირე და საშუალო საწარმოებამდე!

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ.

Messe Frankfurt-ის გამოფენა Ambiente 2020

2020 წლის 7-11 თებერვალს Messe Frankfurt წარმოგიდგენთ 5 დღიან თანამედროვე და უახლესი სამზარეულოს, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ორიგინალური საჩუქრების საერთაშორისო გამოფენას Ambiente 2020.

ერთ საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი იქნება პროდუქცია შემდეგი სამი მამართულებით: **Dining, Giving, Living.**

ასევე, გამოფენის ფარგლებში მოგეცემათ საშუალება, დაესწროთ სხვადასხვა სახის ვორქშოპებსა და შოუებს.

არ გაუშვათ შანსი ხელიდან!

დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ზაირა სოლოევას შემდეგ ელ. ფოსტაზე: zaira.soloeva@dwv.ge.

ეკონომიკისა და ენერგეტიკის ფედერალური სამინისტროს ბიზნეს დელეგაცია სომხეთსა და საქართველოში

გერმანიის ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროს (BMWi), მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი, საბაზრო განვითარების პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია დელეგაციის ვიზიტი სომხეთსა და საქართველოში, თემებზე: სამრეწველო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, სურსათის გადამუშავება და შეფუთვა, სამშენებლო და ეკოტექნიკა, ტექსტილის დანადგარები.

ბიზნეს დელეგაციის მიზანს წარმოადგენს, მანქანა-დანადგარების მშენებლობის დარგში მოღვაწე გერმანული მცირე და საშუალო საწარმოები, საინფორმაციო ღონისძიების ფარგლებში, გაეცნონ ინდუსტრიის ან სხვა დარგების სპეციფიკას, პოლიტიკურ და სამართლებრივ პირობებს, ბაზრის შესაძლებლობებს და სამომავლო განვითარების პერსპექტივებს, ტექნიკურ და ლოგისტიკურ მოთხოვნებსა და პროცედურებს, ასევე კულტურულ მახასიათებლებს.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

DIHK | messe frankfurt | FRUIT LOGISTICA | SES Senior Experten Service DER WELT EXPERTEN DIENST

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

DWV-ს წევრების ვაკანსიები

AE Solar

აცხადებს ვაკანსიას გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე. განცხადება იხილეთ აქ.

Bank of Georgia

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ აქ.

Georgian Travel Group

აცხადებს ვაკანსიას გერმანულენოვანი ტურიზმის მენეჯერის პოზიციაზე. განცხადება იხილეთ აქ.

Leavingstone

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ აქ.

Mytalent.io

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ აქ.

M²

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ აქ.

Nexia TA

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ აქ.

ProCredit Bank

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ აქ.

TBC Bank

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე, განცხადებების ჩამონათვალი იხილეთ აქ.

DWV-ს ახალი წევრები

DWV გულითადად მიესალმება მის ახალ წევრებს:

სრული წევრები:

Kaukasus-Reisen
ტურიზმი
www.kaukasus-reisen.de

Bank of Georgia
საბანკო სექტორი
www.bankofgeorgia.ge

PricewaterhouseCoopers Georgia LLC (PwC)
აუდიტი, იურიდიული და საგადასახადო კონსულტაცია
www.pwc.com/ge

DWV-ს წევრებისა და პარტნიორების სიახლეები და ღონისძიებები

ორიენტ ლოჯიკსა და კანტის აკადემიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმი კანტის აკადემიის სტუდენტების პროფესიულ განვითარებაში დახმარებას გულისხმობს. სტუდენტები ორიენტ ლოჯიკში პრაქტიკებს გაივლიან, დაგეგმილია კომპანიის სხვადასხვა მიმართულებების ექსპერტების მიერ სასწავლო ღონისძიებების გამართვაც.

მემორანდუმს ხელი კანტის აკადემიის დამფუძნებელმა, მარეხი გახოკიძემ და ორიენტ ლოჯიკის გენერალურმა დირექტორმა, ლევან ახვლედიანმა მოაწერეს.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

პროკრედიტ ბანკში ევროს ანაბრებზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი ამოქმედდა

ProCredit Bank Georgia

განახლებული პირობები ვრცელდება ფიზიკური პირების ვადიან და შემნახველ ანაბრებზე, ასევე სადეპოზიტო სერტიფიკატზე.

მეანაბრეს საშუალება ეძლევა დააგროვოს თანხა ევროში და მიიღონ მაღალი საპროცენტო სარგებელი;

- **შემნახველი ანაბარი** მომხმარებლებს მიანიჭებს მეტ მოქნილობას თავისუფლად მართონ თანხები;
- **ვადიანი ანაბარი/სადეპოზიტო სერტიფიკატი** მეანაბრეს საშუალებას აძლევს განათავსოს თანხა წინასწარ განსაზღვრული ვადით.

პროკრედიტ ბანკი, ევროს 12 თვიან ანაბარზე მომხმარებლებს სთავაზობს მაღალ საპროცენტო სარგებელს:

ვადიანი ანაბარი - ნომინალური 1,5%, ეფექტური 1,51%. **სადეპოზიტო სერტიფიკატი** - ნომინალური / ეფექტური 1,7%.

სიახლესთან დაკავშირებით ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ეწვიოთ პროკრედიტ ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდს (www.procreditbank.ge) ან დაუკავშირდეთ მომსახურების ცენტრს საკონტაქტო ნომერზე +995 32 220 22 22.

თიბისი ბანკმა ენერგოეფექტური პროექტების დაფინანსებისთვის EBRD-ის ჯილდო მიიღო

TBC BANK

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა - EBRD საუკეთესო ენერგოეფექტური პროექტების დაფინანსებისა და საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის თიბისი ბანკი დააჯილდოვა. ღონისძიებაზე საუკეთესო ენერგოეფექტური პროექტების ავტორი 6 კომპანია გამოვლინდა.

კავკასიის ენერგოეფექტურობის პროგრამა - CEEP, EBRD-ის, ევროკავშირისა და ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც საქართველოში, 2012 წლიდან 31-მა კომპანიამ და 29 000-ზე მეტმა ოჯახმა 42 მილიონ ევროზე მეტი ენერგოკრედიტი მიიღო ექვსი ადგილობრივი ბანკისგან.

„დიო“ საქველმოქმედო გალა საღამოს: „გადაარჩინე სიცოცხლე“-ს სპონსორია!

14 დეკემბერს, საქველმოქმედო ორგანიზაციამ „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“ საქველმოქმედო გალა საღამო „გადარჩინე სიცოცხლე“ ძეგვის თავშესაფრისა და „ჰოსპისი ფერიცვალება“-ს დასახმარებლად გამართა.

გალა საღამოზე საზეიმო მიღება, ტრადიციული აუქციონი და საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა, ასევე ორგანიზაციის დაარსებიდან 25 წელიც აღინიშნა.

კომპანია დიომ ძეგვის თავშესაფარი ჟალუზებით უზრუნველყო, ამასთანავე საქველმოქმედო გალა საღამოს სპონსორი გახდა.

საღამოს დიოს დირექტორთა საბჭო და თანამშრომლები დაესწრნენ.

შეგახსენებთ, რომ კომპანია „დიო“ აქტიურია CSR-ის კუთხით და საქველმოქმედო ტიპის აქტივობებში არაერთხელ მიუღია მონაწილეობა.

იურიდიული კომპანია ბიელსი გაეროს ქალთა ორგანიზაციის კონფერენციაზე

BLC Law Office

„ბიზნეს ლიდერები ცვლილებების სათავეში“ - 5 დეკემბერს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად ყოველწლიურ ბიზნეს კონფერენციას უმასპინძლა.

კონფერენციაში ის ბიზნეს კომპანიები მონაწილეობდნენ, რომლებიც ქალთა გაძლიერების მიმართულებით აქტიურად საქმიანობენ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ასევე ის ახალი ორგანიზაციები, მათ შორის იურიდიული კომპანია ბიელსი, რომლებიც ქალთა გაძლიერების პრინციპების გლობალური ინიციატივას სულ ახლახანს შეუერთდნენ და ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

DIHK · messe frankfurt · FRUIT LOGISTICA · SES Senior Experten Service DER WELT EXPERTEN DIENST

გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს საზეიმო ვითარებაში მოეწერა ხელი.

თიბისი ბანკმა „საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო“ მიიღო

17 დეკემბერს „საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდოს“ ცერემონია ჩატარდა. „მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების“ კატეგორიაში გამარჯვებული გახდა თიბისი ბანკი.

ონკურსში მონაწილეობა საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულმა 16 კომპანიამ მიიღო. გამარჯვებული კომპანიები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა.

იურიდიული ფირმა JMG & Partners-ის საინფორმაციო ფურცელი საქ. მეწარმე სუბიექტების ტიპების შესახებ

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით მეწარმე სუბიექტების შემდეგი ტიპები არსებობს: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; კოოპერატივი; კომანდიტური საზოგადოება და ინდივიდუალური მეწარმე.

საინფორმაციო ფურცელი (გერმანულ ენაზე) იხილეთ აქ.

არდი Acibadem Healthcare Group-ის პარტნიორი გახდა

სადაზღვევო კომპანია არდიმ და მსოფლიოში ცნობილი ჰოსპიტალების ქსელმა ACIBADEM Healthcare Group-მა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. ამიერიდან ACIBADEM Healthcare Group-ი არდის პროვაიდერი გახდა, რაც არდის დაზღვეულებს თურქეთის კლინიკებში მკურნალობის საშუალებას აძლევს.

მეიჯერელ საქართველოსა ახალი პროექტი ქუთაისში

მსოფლიოს უდიდეს კომპიუტერების მწარმოებელ ASUS-თან ერთად მეიჯერელ საქართველომ ქუთაისის ოფისში ახალი პროექტი დაიწყო - IT ტექნიკური მომსახურება.

მეიჯერელის თანამშრომლები ASUS-ის მომხმარებლებს გერმანიიდან, შვეიცარიიდან და ავსტრიიდან ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში დაეხმარებიან ტელეფონისა და ელ-ფოსტის საშუალებით. ამჟამად შესაბამისი გუნდი 17 წევრისაგან შედგება და ძირითადი საკომუნიკაციო ენა გერმანულია.

მემორანდუმი პროკრედიტ ბანკსა და CENN-ს შორის

პროკრედიტ ბანკსა და არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ს შორის, ერთწლიანი თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

კომპანიები მზადყოფნას გამოთქვამენ, ერთობლივი ძალისხმევით, ხელი შეუწყონ ქვეყანაში ნარჩენების მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვას და ამ სექტორის განვითარებას.

„დიო” არქიტექტურული პრემია 2019-ის მხარდამჭერია!

2019 წლის 15 დეკემბერს, სასტუმრო „Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace“-ში რიგით მე-14 საერთაშორისო კონკურსი „არქიტექტურული პრემია 2019“ ჩატარდა, სადაც საუკეთესო არქიტექტურული და დიზაინერული ნამუშევრები იქნა გამოვლენილი.

კომპანია დიომ ნომინაციაში „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან კომპლექსი“ გამარჯვებული პროექტის „საცხოვრებელი კომპლექსი VURGUN RESIDENCE“-ის ავტორი კამალ მუსაჰანოვი და

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

„ბლოკირებული ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები"-ს ავტორი დავით მახარობლიშვილი დააჯილდოვა.

დიოს გენერალურმა დირექტორმა ირმა დაუშვილმა, გამარჯვებულებს საჩუქრები და 15%-იანი ფასდაკლების ვაუჩერები გადასცა.

ამავე ღონისძიებაზე სახალისო ვიქტორინაში გამარჯვებულებს დიოსგან პრიზები გადაეცათ.

„დიო ყოველთვის მზადაა მხარი დაუჭიროს მსგავსი მნიშვნელობის ღონისძიებებს" - აღნიშნავს კომპანიის გენერალური დირექტორი ირმა დაუშვილი.

შეგახსენებთ, რომ კომპანია დიო მომხმარებელს სთავაზობს 70-მდე დასახელების პროდუქციას, არქიტექტორებს კი საშუალება აქვთ სწორედ ამ პროდუქტების გამოყენებით ინტერიერისა და ექსტერიერის საინტერესო პროექტები შეადგინონ.

ბათუმში Grant Thornton Georgia-ს წარმომადგენლობა გაიხსნა

Grant Thornton

20 დეკემბერს ბათუმში Grant Thornton Georgia–ს წარმოამდგენლობა ოფიციალურად გაიხსნა. სიმბოლური ლენტი კომპანიის მმართველმა პარტნიორმა – ვახტანგ ცაბაძემ და პარტნიორმა – პაატა შურღაიამ გაჭრეს.

საღამოს გაიმართა გალა მიღება, სადაც აჭარის ა/რ მთავრობა, დიპლომატიური მისიები და ბიზნესის წარმომადგენლები მიიწვიეს.

დეტალურად იხილეთ აქ.

თიბისი - 2019 წლის საუკეთესო ბანკი საქართველოში

თიბისი ბანკი TBC BANK

ჯილდო თიბისიმ გამორჩეული ფინანსური მიღწევებისთვის, მომხმარებელთან ურთიერთობის საუკეთესო გამოცდილებისა და ინოვაციური ციფრული სერვისების/პროდუქტების შეთავაზებისთვის მიიღო.

ავერსმა კიდევ ერთხელ მოიპოვა ბიზნესის ეროვნული ჯილდო

ავერსი AVERSI

27 ნოემბერს შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში ჯორჯიან თაიმსისა და კომპანია გორბის მიერ ორგანიზებული მეოცე ბიზნესრეიტინგის საიუბილეო საღამო და გალა ვახშამი გაიმართა.

კომპანია ავერსმა რამდენიმე ნომინაციაში მოიპოვა ბიზნესის ეროვნული ჯილდო: პროფესიონალთა საუკეთესო გუნდისთვის, გამორჩეული სოციალური პასუხისმგებლობისთვის და ფარმაციასა და მედიცინაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ორიენტ ლოჯიკი მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის დაჯილდოვდა

ORIENT LOGIC

საქართველოს კორპორაციული სპორტის ფედერაციამ 2019 წელს მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის კომპანიები დააჯილდოვა. საპატიო ჯილდო ორიენტ ლოჯიკს ერგო. კომპანია მასობრივი სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა.

საქართველოს კორპორაციული სპორტის ფედერაციის მიზანს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება წარმოადგენს. ორიენტ ლოჯიკი სისტემატურად აქტიურ მონაწილეობას იღებს ფედერაციის მიერ დაგეგმილ აქტივობებში და ხელს უწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

Meliora-ს დაჯილდოებაზე წლის პასუხისმგებელი მსხვილი ბიზნესი პროკრედიტ ბანკი საქართველო გახდა

პროკრედიტ ბანკი ProCredit Bank Georgia

პროკრედიტ ბანკის გარემოსდაცვითი პოლიტიკის სამი საყრდენია: შიდა გარემოსდაცვითი მართვა (ენერგიის, წყლისა და ქაღალდის ხარჯების შემცირება, ნარჩენების შემცირება), დაკრედიტებისას

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა (კლიენტების სკრინინგი გარემოზე მავნე ზემოქმედების თვალსაზრისით) და მწვანე ფინანსირება (სპეციალური სესხების ინვესტირება ენერგოეფექტურობაში, განახლებად ენერგიასა და სხვა „მწვანე“ პროექტებში).

Nexia TA გახდა Meliora-ს გამარჯვებული ნომინაციაში „პასუხისმგებელი დამსაქმებელი“

Nexia TA-ს წარდგენილი ჰქონდა პროექტი: თანამშრომელი - ყველაზე მაღალი ღირებულება!

პროექტის მიზანია კომპანიის თანამშრომლების დამოკიდებულებისა და განწყობის შეცვლა და კომპანიაში ჯანსაღი სამუშაო გარემოსა და ღირსეული შრომის პირობების შექმნა. პროექტი დაიწყო 2018 წელს და დღესაც მიმდინარეობს.

თიბისი ბანკმა Meliora-ს დაჯილდოებაზე ორ ნომინაციაში გაიმარჯვა

კატეგორია „მწვანე ინიციატივა“, პროექტი: მწვანე ავტოპარკი

საწვავის მოხმარების მაღალი მაჩვენებლის გამო, კომპანიამ 2018 წლის განმავლობაში ეტაპობრივად განაახლა არსებული ავტოპარკის 70% და იგი ჩაანაცვლა ჰიბრიდული ტიპისა და ელექტრომობილებით, რამაც უკვე 2018 წლის ბოლოსთვის, 2017 წელთან შედარებით, მთლიანი საწვავის მოხმარება 13%-ზე მეტით შეამცირა.

ნომინაცია „სხვადასხვა სექტორთა პარტნიორობა გაზიარებული პასუხისმგებლობა“, პროექტი: დავით კაკაბაძის შემოქმედების გამოფენა

გამოფენამ საზოგადოებას წარუდგინა დავით კაკაბაძე, როგორც მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, ფოტოგრაფი, ოპერატორი, მეცნიერი, გამომგონებელი და სტერეო-კინოს სპეციალისტი.

Insta-ს ახალი ავსტრიული პარტნიორი

ჭკვიანი სახლის მიმართულებით, წამყვანმა ავსტრიულმა ბრენდმა Loxone-მა კომპლექსური ელექტრო-საინჟინრო და საინსტალაციო სერვისების პროვაიდერ კომპანია Insta-ს ვერცხლის პარტნიორის სტატუსი მიანიჭა.

ინფორმაცია DWV-ზე

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) წარმოადგენს იმ ფირმათა საწევრო ორგანიზაციას, რომლებიც გერმანულ-ქართულ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩაბმულნი. DWV 2007 წელს დაარსდა და დღეისათვის 180-ზე მეტ წევრს ითვლის.

DWV-ს მმართველ საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორი საშა ტერნესი (შპს ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი). მმართველ საბჭოს ასევე მიეკუთვნებიან დავით შენგელია (კაპაროლ ჯორჯია), გიორგი ბათლიძე (BLC იურიდიული კომპანია) მიხაელ ჰამპელი (ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია) და ანდრეას ჰაიდინგსფელდერი (შერატონ მეტეხი პალასი). გერმანიის საელჩო თბილისში DWV-ს მმართველი საბჭოს მრჩეველი წევრია. მმართველი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე არის გერმანელი მეწარმე, პროფ. დოქტ. კლაუს ჰიპი.

DWV-ს მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დაიცვას გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოში. გარდა ამისა, DWV ემსახურება გერმანულ ფირმებს და აქტიურად ეხმარება მათ ქართულ ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში. გერმანული ფირმების გარდა, DWV ასევე მზაად არის მოემსახუროს გერმანულენოვანი ქვეყნების ფირმებს, მაგალითად ავსტრიულსა და შვეიცარიულს. დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: www.dwv.ge

თუ გსურთ თქვენი ბიზნეს აქტივობების გაფართოვება საქართველოსა და გერმანიისა ბაზარზე, ამ მიმართულებით ჩვენ გთავაზობთ მრავალმხრივ მომსახურებას.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

ჩვენი მომსახურების ჩამონათვალი:

მისამართების მოძიება

- კონსულტაცია ბაზრის შესახებ
  - ბაზრის კვლევა
  - მისამართების მოძიება
  - ბიზნეს პარტნიორის მოძიება
  - ბიზნეს მეილინგი
- პერსონალი & ტრეინინგი
  - სემინარები/ტრენინგები
  - პერსონალის მოძიება
- საოფისე მომსახურება
  - დროებითი პერსონალი
  - მთარგმნელობითი მომსახურება
  - მედიაცია
- დელეგაციები
- მესე ფრანკფურტი
- სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ.

DWV - Messe Frankfurt-ის ოფიციალური წარმომად-გენელი საქართველოში და სომხეთში

Messe Frankfurt არის მსოფლიოს წამყვანი გამოფენების ორგანიზატორი. იგი სხვადასხვა ორგანიზაციებს გლო–ბალური მასშტაბით შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ საკუთარი პროდუქცია და მომსახურება საერთაშორისო ბაზარზე. Messe Frankfurt ის ადგილია, სადაც მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ პოტენციურ პარტნი-ორებთან.

DWV მხარს უჭერს Messe Frankfurt-ის ყველა გამოფენას და ეხმარება საქართველოსა და სომხეთის მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს გამგზავ–რებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: zaira.soloeva@dwv.ge

SES პროექტი საქართველოში - გერმანელი ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში

Senior Expert Service (SES) წარმოადგენს გერმანიის ინდუსტრიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის პროექტს, რომელიც გერმანელ ექსპერტებს აგზავნის სხვადასხვა კომპანიებში კონსულტაციისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ექსპერტები წარმოადგენენ გამოცდილ სპეციალისტებს მრავალწლიანი სტაჟით, რომელთაც უკვე დაასრულეს თავიანთი სამსახურებრივი მოღვაწეობა, აქვთ კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ფლობენ უცხო ენებს. ექსპერტთა დახმარების მიღება შესაძლებელია 50 გან-სხვავებულ სფეროში. ისინი თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და ისეთ მომ–სახურების სექტორებს, როგორებიც არიან სოციალური და სამედიცინო ინსტიტუტები, სკოლები და ა.შ.

ექსპერტის მომსახურება გამოიხატება კომპანიების თანამშრომელთა კონსულტირებით. იგი არ ითავსებს მენეჯერულ ფუნქციებს. ექსპერტის აყვანა შესაძლებელია 3 კვირიდან 6 თვის ვადით. ექსპერტი მუშაობს უსასყიდლოდ, თუმცა მისი საცხოვრებელის, კვებისა და ტრანს–პორტირების (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ) ხარჯებს, ასევე ადმინისტრაციულ ხარჯებს ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: maria.bregadze@dwv.ge

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წლიური ანგარიში 2018

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების, 2018 წლის ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობის სრულ მიმოხილვას, აგრეთვე აქტუალურ ინფორმაციას მისი წევრების შესახებ. აღნიშნული პუბლიკაცია ხელმისაწვდომია გერმანულ-ქართულ ენაზე და შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ ბმულიდან.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •